სტუდენტთა გამოკითხვა დისტანციური სწავლების შესახებ

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იყო პოპულაციაზე დაფუძნებული (Population-based/Census-based[1]) მიდგომა, რომელიც გულისხმობს პოპულაციის ყველა წევრისთვის (ამ შემთხვევაში თსუს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები მიმდინარე სემესტრში - 17952 სტუდენტი) ელექტრონული მართვის სისტემაზე (LMS) ონლაინ კითხვარის განთავსებას. გამოკითხვის შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს შეტყობინების სახით მიუვიდათ. ისინი ნებაყოფლობით ავსებდნენ კითხვარს. გამოკითხვა მიმდინარეობდა 6 დღის განმავლობაში (დაიწყო 04.04.2020 და დასრულდა 10.04.20) კვლევის ჩატარებისა და მონაცემთა დამუშავების პროცედურა ცენტრალიზებული იყო. განხორციელდა თსუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

პოპულაციაზე დაფუძნებული მიდგომა ფართოდ გამოიყენება განათლების სფეროში (მაგ., National Survey of Student Engagement (NSSE); Student Experience in the Research Universities (SERU); the National Student Survey in the UK (NSS) and the Dutch National Student Survey in the Netherlands (NSE))[2]. ამ მიდგომის ძლიერ მხარედ გამოკითხვის დაფარვის ფართო ზონა ითვლება - პოპულაციის ყველა წევრია მიწვეული კვლევაში მონაწილეობის მისაღებად. თუმცა, ამ შემთხვევაში არგამოპასუხების პრობლემას უნდა მიექცეს ყურადღება (Sue & Ritter, 2012). შესაბამისად, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ გამოპასუხების დონის მაჩვენებლები, როგორც ჯამურად, ისე ფაკულტეტების მიხედვით. ასევე, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ საფეხურების მიხედვით სტუდენტების მონაწილეობა კვლევაში. როგორც ცხრილი #1-შია ნაჩვენები, მეტი აქტიურობა შეინიშნება ბაკალავრიატის საფეხურზე სხვა საფეხურებთან შედარებით.

ცხრილი #1

	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	იურიდიული ფაკულტეტი	მედიცინის ფაკულტეტი	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ჯამურად
ბაკალავრიატი	445	539	550	20	188	147	402	2291
მაგისტრატურა	64	15	43	3	15	15	10	165
დოქტორანტურა	4	1	0	2	0	0	3	10
ერთსაფეხურიანი	0	0	0	7	0	0	0	7
ინტეგრირებული	0	1	0	0	1	1	1	4
მოსამზადებელი	1	1	1	0	2	1	5	11
ჯამურად	514	557	594	32	206	164	421	2488

[1] კვლევის მეთოდების ლიტერატურაში გვხვდება შემდეგი სახელწოდებითაც -Saturation Sampling - Sue, V. M., & Ritter, L. A. (2012). Conducting online surveys. Sage.

[2] Curaj, A., Matei, L., Pricopie, R., Salmi, J., & Scott, P. (Eds.). (2015). The European higher education area: Between critical reflections and future policies. Springer.

გამოპასუხების დონის მონაცემები მოცემულია ცხრილი #2-ში. გამოპასუხების დონის საერთო მაჩვენებელია **14%,** ხოლო ფაკულტეტების მიხედვით ვარირებს 3%-20%-მდე, რაც მხედველობაში უნდა მივიღოთ ფაკულტეტების დონეზე მონაცემთა ინტერპრეტაციის დროს. კვლევაში გამოვლენილი გამოპასუხების დონე (გარდა მედიცინის ფაკულტეტისა) აკმაყოფილებს სტუდენტთა ონლაინ გამოკითხვის გამოპასუხების დონესთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს. დღეს სტუდენტებში ჩატარებული ბევრი კვლევის გამოპასუხების დონე 20%-ზე დაბალია (მაგ., Lauber, Ajdacic-Gross, Fritschi, Stulz, & Rössler, 2005; Lee, 2010; Sax et al., 2003). რეკომენდაციების თანახმად, სტუდენტთა გამოკითხვებში 10%-იანი გამოპასუხების დონეც ითვლება მისაღებად, ხოლო 10%-ზე დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში საჭიროა სკალებზე მიღებული პასუხების ხარისხის შემოწმებაც (CENTRE FOR HIGHER EDUCATION QUALITY, 2008, Guide to interpreting unit evaluation and MonQueST reports; Melbourne, Monash University; Nair, Adams, & Mertova, 2008).

რადგან ბაკალავრიატის საფეხურზე ყველაზე მეტი აქტიურობა გამოვლინდა, საჭირო ჩავთვალეთ გამოპასუხების დონის მაჩვენებლები ამ საფეხურისთვის ცალკე დაგვეთვალა. როგორც ხედავთ ცხრილ #2-ში, საერთო მაჩვენებლებთან შედარებით ამ შემთხვევაში გამოპასუხების დონის მაჩვენებლები გაუმჯობესდა.

	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	იურიდიული ფაკულტეტი	მედიცინის ფაკულტეტი	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ჯამურად
გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების საერთო	514	557	594	32	206	164	421	2488
აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები	4069	2809	3335	1017	2262	1394	3066	17952
გამოპასუხების დონე %	13	20	18	3	9	12	14	14
გამოკითხვაში მონაწილე ბაკალავრიატის სტუდენტების რაოდენობა	445	539	550	20	188	147	402	2291
აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის სტუდენტები	3359	2386	2661	1017	1889	991	2808	15111
გამოპასუხების დონე % ბაკალავრიატის საფეხურზე	13	23	21	2	10	15	14	15

კვლევის მონაცემები დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამაში SPSS21. რაოდენობრივი მონაცემების დასამუშავებლად გამოვიყენეთ სიხშირული და კროსტაბულაციური ანალიზები, ხოლო ღია შეკითხვებით მიღებული თვისებრივი მონაცემების დასამუშავებლად შეირჩა თემატური ანალიზის მეთოდი.

რაოდენობრივი ანალიზის შედეგები

დისტანციურ მუშაობისთვის გამოყენებულ ონლაინ პლატფორმებს შორის ყველაზე ხშირად სახელდება Zoom (შენიშვნა: კითხვაზე სტუდენტებს ერთდროულად რამდენიმე პლატფორმის დასახელება შეეძლოთ), ხოლო მეორე და მესამე ადგილს იკავებს LMS და E-learning (moodle).

დიაგრამა #1



ფაკულტეტების მიხედვით ანალიზი კი აჩვენებს, რომ საერთო მაჩვენებლების მსგავსად Zoom და LMS პირველ და მეორე ადგილს იკავებს ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიულ, სოციალურ-პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე, ხოლო ზუსტ საბუნებისმეტყველო, მედიცინისა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მეორე ადგილზე ინაცვლებს E-learning (Moodle).




დისტანციურად მუშაობისთვის რომელ ონლაინ პლატფორმას იყენებთ?
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი (557 სტუდენტი)
554
165
95
82
70
2
0
Zoom
E-learning (Moodle)
E-mail
LMS
სოციალური ქსელები
Teams
Skype


დისტანციურად მუშაობისთვის რომელ ონლაინ პლატფორმას იყენებთ?
მედიცინის ფაკულტეტი (32 სტუდენტი)
30
13
9
4
4
1
1
Zoom
E-learning (Moodle)
E-mail
LMS
სოციალური ქსელები
Teams
Skype


დისტანციურად მუშაობისთვის რომელ ონლაინ პლატფორმას იყენებთ?
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (206 სტუდენტი)
195
141
135
88
49
0
0
Zoom
LMS
E-learning (Moodle)
სოციალური...
E-mail
Teams
Skype





სტუდენტებმა 5 ბალიან სკალაზე შეაფასეს ელექტრონული სწავლების ფორმატის ეფექტურობა. 24 % თვლის, რომ ელექტრონული სწავლება სრულიად არაეფექტურია, 10% თვლის, რომ ელექტრონული სწავლება ძალიან ეფექტურია, ხოლო უმრავლესობა (26%) მას საშუალოდ აფასებს. სკალაზე უარყოფითი შეფასების მაჩვენებლები მცირედით აღემატება დადებითი შეფასებების მაჩვენებლებს (დიაგრამა #2).

დიაგრამა #2



კმაყოფილების შემთხვევაშიც (დიაგრამა#3) ყველაზე ხშირად სკალის საშუალო მაჩვენებელი ვლინდება (26%), თუმცა, ეფექტურობასთან შედარებით შეცვლილია სკალის უარყოფით და დადებით მაჩვენებლებს შორის სხვაობა. საინტერესოა რა მიმართებაა სტუდენტებში ელექტრონული სწავლების ეფექტურობის აღქმასა და ელექტრონული სწავლებით კმაყოფილების განცდას შორის. როგორც აღმოჩნდა, იმ სტუდენტების რაოდენობა უფრო მეტია, ვინც ელექტრონული სწავლებით კმაყოფილია, ვიდრე იმ სტუდენტებისა, რომლებიც ეფექტურად აფასებენ ელექტრონულ სწავლებას.

დიაგრამა#3



თუმცა, ამ შემთხვევაში უფრო მეტად საყურადღებოა, რომ სტუდენტთა 19 % ძალიან უკმაყოფილოა. სტუდენტთა რა ნაწილი მოექცა ამ კატეგორიაში? ამისათვის საჭიროდ

ჩავთვალეთ კმაყოფილებისა და კვლევაში გამოყენებული სხვა ცვლადების ურთიერთმიმართების ანალიზი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლადია ლექციაზე დასწრების ცვლადი. როგორია ძალიან უკმაყოფილო სტუდენტების დასწრების მაჩვენებლები? ონლაინ ლექციებზე დასწრების გარეშე ხომ არ აფასებენ საკუთარ კმაყოფილებას? როგორც დიაგრამა #4-ზე ნაჩვენები, ძალიან უკმაყოფილო სტუდენტების ყველაზე დიდი მაჩვენებელი (50%) ლექციას ყველაზე იშვიათად ესწრება.

დიაგრამა#4



	ძალიან უკმაყოფილო	2	3	4	ძალიან კმაყოფილი
100%	18%	19%	38%	51%	64%
75%-ზე მეტს, მაგრამ 100%-ზე ნაკლებს	18%	31%	30%	35%	28%
50%-75%	13%	23%	19%	10%	5%
50%-ზე ნაკლებს	50%	28%	13%	5%	4%

ონლაინ ლექციაზე დასწრების დაბალი მაჩვენებლების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ინტერნეტზე და ელექტრონულ მოწყობილობებზე დაბალი წვდომა შეიძლება იყოს. როგორც დიაგრამა#5-ზეა ნაჩვენები, ძალიან უკმაყოფილო სტუდენტების 17% არ აქვს წვდომა და 63%-ს მეტნაკლები წვდომა აქვს, ხოლო იგივე მაჩვენებლები ძალიან კმაყოფილ სტუდენტების შემთხვევაში მხოლოდ 3 და 7%-ია.

დიაგრამა#5



ინტერნეტსა და ელექტრონულ მოწყობილობებზე წვდომის მაჩვენებლების საერთო სურათი კი შემდეგნაირად გამოიყურება: სტუდენტთა 53% აფიქსირებს ამ შეკითვაზე „დიახ“ პასუხს, 5% არას, ხოლო 42% „მეტნაკლებად“.

დიაგრამა#6



ონლაინ ლექციაზე დასწრების მაჩვენებლების საერთო სურათი კი შემდეგნაირია: სტუდენტთა უმრავლესობა (36%) 100%-იან დასწრებას აფიქსირებს, ხოლო დასწრების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (50%-ზე ნაკლები) 20%-ში ვლინდება.

დიაგრამა#7



საინტერესოა, იყო თუ არა ლექციაზე დაბალი დასწრების მაჩვენებლის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის ელექტრონული პლატფორმების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე. როგორც აღმოჩნდა, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან სტუდენტების უმრავლესობა (88%) აცხადებს, რომ მათ უნივერსიტეტისგან მიიღეს შესაბამისი ინფორმაცია (იხ. დიაგრამა #8).

დიაგრამა #8



დავუბრუნდეთ კმაყოფილების მაჩვენებლებს და ვნახოთ ფაკულტეტების მიხედვით თუ შეინიშნება სხვაობები. როგორც დიაგრამა #9-ზეა ნაჩვენები, მაჩვენებლები ყველა ფაკულტეტის შემთხვევაში თითქმის ერთნაირად სკალის შუა პუნქტებთან (2; 3; 4) იყრის თავს.

დიაგრამა #9



	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	იურიდიული ფაკულტეტი	მედიცინის ფაკულტეტი	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ძალიან უკმაყოფილო	19%	20%	16%	16%	20%	11%	23%
2	19%	25%	21%	13%	21%	22%	17%
3	25%	25%	28%	16%	25%	30%	28%
4	24%	17%	24%	31%	23%	30%	22%
ძალიან კმაყოფილი	12%	13%	11%	25%	10%	7%	10%

საინტერესოა კითხვაზე -რამდენად ეფექტურად უძღვებიან პროფესორები ონლაინ ლექციებსა და სემინარებს? - სტუდენტების პასუხები. როგორც დიაგრამა #10 აჩვენებს, ამ შემთხვევაში მონაცემები დადებითადაა გადახრილი.

დიაგრამა #10



ვფიქრობთ, საინტერესოა პროფესორების მიერ ონლაინ ლექცია/სემინარის ეფექტურად წაძღოლის აღქმასა და კმაყოფილების მაჩვნებლებს შორის ურთიერთმიმართების ანალიზიც. როგორც დიაგრამა #11-ზეა ნაჩვენები, იმათთგან ვინც „სრულიად არაფექტურად“ აფასებს პროფესორების მიერ ონლაინ ლექციები/სემინარების წაძღოლას, გამოკვეთილი უმრავლესობა (88%) არის ძალიან უკმაყოფილო. ანუ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პროფესორის მიერ არაეფექტურად წაყვანილი ლექცია/სემინარი ცალსახადაა დაკავშირებული უკმაყოფილების დონესთან, რასაც ვერ ვიტყვით პროფესორის მიერ „ძალიან ეფექტურად“ წაძღოლილ ლექცია/სემინარისა და კმაყოფილების მაჩვენებლებს შორის მიმართების შესახებ. პროფესორთა ძალიან ეფექტურად შემფასებელ სტუდენტთა მხოლოდ 42% ამჟღავნებს კმაყოფილების უმაღლესს დონეს.



შესაბამისად, საინტერესოა, პროფესორების მიერ ონლაინ ლექციების ეფექტურად წაძღოლის გარდა რა ფაქტორები განაპირობებს სტუდენტთა კმაყოფილებას, რა საჭიროებები აქვთ მათ დისტანციური სწავლებისას. ვფიქრობთ, რომ ღია კითხვებზე მიღებული მონაცემების თვისებრივი ანალიზი დაგვეხმარება ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში.

თვისებრივი ანალიზის შედეგები

ღია შეკითხვაზე - *მისაღებია თუ არა აქამდე არსებული შეფასების სისტემა დისტანციური სწავლების პროცესში და რას შეცვლიდით?* - სტუდენტთა პასუხების თემატური ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი თემატური კატეგორიები: შუალედური გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა, საშინაო დავალებები, დასწრება, ბარიერი/ზღვარი, სტუდენტების დატვირთვა, კონკრეტულ კურსებთან დაკავშირებული სპეციფიკური სირთულეები, გრძელვადიანი დადებითი შედეგები. თითოეულ თემატურ კატეგორიას, რომელთა შესახებაც სტუდენტებმა აზრი გაგვიზიარეს, ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

შუალედური გამოცდა

შუალედურ გამოცდასთან დაკავშირებით ყველა ფაკულტეტის შემთხვევაში გამოვლინდა მოსაზრება შუალედური გამოცდის შეფასების სხვა ფორმებით (დავალება, პრეზენტაცია, ესე, კაზუსი და ა.შ) ჩანაცვლების შესახებ.

„ვფიქრობ ყველაზე ეფექტური გამოსავალი (შუალედურის 30 ქულის ჩანაცვლების) დავალებების მოცემაა, კაზუსები/პრეზენტაციები“. იურიდიული ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„სემინარული გამოკითხვები თავისუფლად ტარდება, აქტივობაშიც ქულის დაწერა ონლაინ რეჟიმში შესაძლებელია, მაგრამ ქვიზები და შუალედური გამოცდები ონლაინ რეჟიმში ვერ ჩატარდება. სავარაუდოდ, დავალებებისთვის განაწილება და ქეისები ამჯობინებს ზოგ საგანში ქვიზებს.“ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„სრულიად გავაუქმებდი შუალედურ შეფასებებს და დავტოვებდი მხოლოდ ლექტორის მიერ აქტივობის შეფასებას და ფინალურ გამოცდას.“ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„შუალედურისა და ფინალური გამოცდის ჩატარება ელექტრონულად ვფიქრობ პრეზენტაციის ან თუნდაც ესეს სახით უნდა იყოს.“ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„ვფიქრობ, მოსახერხებელი იქნება თუ შუალედურებისთვის განკუთვნილი ქულები გადანაწილდება დავალებებზე.“ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი

შუალედურის გამოცდის სხვა ფორმებით ჩანაცვლებაზე მოსაზრებები გვხვდება არა მარტო ბაკალავრიატის, არამედ მაგისტრატურის დონეზეც:

„ვფიქრობ, იმ საგნებში, სადაც საგნის და სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება საშინაო დავალების სახით კაზუსი ამოხსნა, ეს მეთოდი უნდა დაინერგოს შუალედური შეფასების ფარგლებში“

იურიდიული ფაკულტეტი, მაგისტრატურა.

ბარიერი/ზღვარი

სტუდენტების ნაწილი ყურადღებას ამახვილებს შექმნილ ვითარებაში ზღვრის/ბარიერის შემცირებაზე. მსგავსი შეხედულება გვხვდება, როგორც ფინალურ გამოცდამდე არსებული ზღვრის/ბარიერის, ისე თავად ფინალურ გამოცდაზე გადასალახი ზღვრის შესახებაც.

„ვინაიდან ასეთი სწავლება ყველასთვის უცხოა და ყველა დაძაბულია, სტუდენტების წახალისების და სტიმულირების მიზნით მცირედით შევამცირებდი გამოცდებზე გასასვლელად საჭირო ქულების ზღვარს ან უმჯობესია ფინალურის ზღვრის შემცირება. რამდენიმე თუნდაც ორი ქულით.“ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„ბევრი სტუდენტი ვერ ესწრება ლექციას და 60 ქულა ფინალურზე არარეალურად მიმაჩნია, ჩემი აზრით ბარიერი საგრძნობლად უნდა დაიწიოს, რადგან ბევრი ვერ შეძლებს გადალახვას მსგავსი მეთოდით“ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი

დასწრება

ყველა ფაკულტეტის შემთხვევაში გვხვდება შეფასების სისტემაში დასწრების ქულის გაუქმების შესახებ მოსაზრება. ხაზგასმულია სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრებასთან შედარებით ონლაინ დასწრების კიდევ უფრო დაბალი ხარისხი განათლების მიღების თვალსაზრისით.

„დასწრების ქულის დაწერა საღი აზრისგან მოკლებულია, რიგი მიზეზების გამო, შეიძლება უბრალოდ ჩავერთო და სხვა ადამიანი იჯდეს ჩემს მაგივრად, ან ჩართული მქონდეს და მე სხვა საქმიანობით ვიყო დაკავებული.“ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„ზუმში ლექცია/სემინარებზე დასწრების ქულა საკმაოდ არასაჭიროდ მიმაჩნია. ვერც ვხვდები რა პრინციპით მოხდა ონლაინ ლექციაზე დასწრების ქულაზე მხარდაჭერა. კარგი იქნებოდა ეგ ქულები გადანაწილებულიყო ქვიზებზე ან სხვა დავალებებზე“ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი

განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია დასწრების ქულის გაუქმების საჭიროებაზე ინტერნეტთან წვდომის პრობლემების გამო.

„ზოგიერთი ლექტორი Zoom-ში ლექცია-სემინარებზე დასწრების რაოდენობას ინიშნავს და ამის მიხედვით აპირებს ქულების დაწერას, რაც ძალიან არასწორია, რადგან ბევრ სტუდენტს არ მიუწვდება მაღალი ხარისხის ინტერნეტზე ხელი.“ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი

„ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი მგონია, რომ ონლაინ ლექცია-სემინარებზე დასწრების ქულა გაუქმდეს, რადგან უამრავი ადამიანია ჩემ გარშემო, რომელსაც სოფელში არ აქვს ინტერნეტთან წვდომა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი

ნიშანდობლივია, რომ სტუდენტთა რაღაც ნაწილი აცნობიერებს იმ სტუდენტების გამო, რომელთაც არ აქვთ შესაბამისი პირობები, დასწრების ქული გაუქმების საჭიროებას, მაგრამ, მეორე მხრივ, უკმაყოფილების განცდა უჩნდებათ დასწრების მაღალი და დაბალი მაჩვენებლების მქონე სტუდენტების გათანაბრების გამო.

„ოდნავ გაუგებარია დასწრების ქულის საკითხი, ერთი მხრივ, სამართლიანია მისი გაუქმება მოწყობილობასთან წვდომის არმქონე ბავშვების მხარდასაჭერად, მეორე მხრივ, არასწორია მათთვის, ვინც გამუდმებით ესწრება, პრაქტიკულად დაუფასებელი შრომა გამოდის“

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი

ამ შემთხვევაში მოსაფიქრებელია, ხომ არ არის საჭირო ბონუსს სისტემის ამოქმედება დასწრების ქულებთან დაკავშირებით. ამას შეიძლება ჰქონდეს სხვა კომპონენტებში დაკლებული ქულების კომპენსირების საშუალების ან სემინარებზე დასწრების გარკვეული ოდენობის სანაცვლოდ კონკრეტული დავალებიდან სტუდენტის გათავისუფლების სახე.

ზეპირი გამოკითხვა

სტუდენტები აქტიურად საუბრობენ ზეპირ გამოკითხვასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, როგორიცაა დიდ სასემინარო ჯგუფებში პასუხების გაცემის არათანაბარი შესაძლებლობა (საუდიტორიო მეცადინეობებთან შედარებით ონლაინ რეჟიმში ეს პრობლემა კიდევ უფრო მკვეთრად იჩენს თავს) და ხმასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემები.

„აი წარმოიდგინეთ ბრძოლის ველი. 1 ლექტორი. 40 სტუდენტი. 1 კითხვა მოდის სასიკვდილოდ და ამაზე პასუხის სურვილი აქვს ორმოცივეს... მოკლედ, დავიღალე, უკვე ყვირილში ვვარჯიშობ, თავი ბუნებრივ გადარჩევაში მგონია, ძლიერის გადარჩენის პრინციპი“

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი

„ზოგჯერ ხმა კარგად არ ისმის მიმდინარე ლექციის დროს, ირევა ხმები და ჭირს კონცენტრაცია. რთული ასე დისტანციურად შეფასება და გამოკითხვა.“

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი

სემინარზე კითხვებზე პასუხის გაცემის მოუხერხებლობის გარდა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ვლინდება დისტაციური სწავლების დროს სემინარზე მასალის მოყოლის პრაქტიკის მიმართ. სტუდენტების აზრით, ეს მიდგომა სააუდიტორიო მეცადინეობების დროსაც კი არაეფექტური იყო. საგულისხმოა, რომ მაგისტრატურის დონის სპეციფიკაზე

ხაზგასმით განსაკუთრებულად მიუღებლად ფასდება აღნიშნული პრაქტიკის გამოყენება სწავლების ამ საფეხურზე.

„დისტანციური მუშაობის დროს სემინარზე მასალის გამოკითხვა არ უნდა ხდებოდეს მოყოლის რეჟიმში. აღვნიშნავ იმასაც, რომ სასემინარო მასალის მოყოლა მოძველებული და არაეფექტურია საუდიტორიო სწავლების დროსაც“ იურიდიული ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„ჩემი აზრით, მისაღები არ არის (განსაკუთრებით მაგისტრატურის საფეხურზე) შეფასებისათვის ყოველ ლექციაზე სტუდენტების გამოკითხვა. მაგისტატურის საფეხური ისედაც მეტწილად ორიენტირებულია სამეცნიერო უნარ-ჩვევების განვითარებაზე, შესაბამისად, ვფიქრობ, რომ უფრო ეფექტური და ამ პირობებში უფრო მარტივი იქნება ქულების რეფერატებისა და სხვა დავალებების სახით შევსება და არა ლექციაზე გამოკითხვა. განსაკუთრებით რთულია გამოკითხვა და აქტიურობა ონლაინ რეჟიმში, შესაბამისად, მაგისტრატურის საფეხურზე ვერ ვხედავ სტუდენტების მიერ ლექციის "ჩაბარების" ისეთ აუცილებელ საჭიროებას, რომ ონლაინ რეჟიმშიც გრძელდება ეს პრაქტიკა.“ იურიდიული ფაკულტეტი, მაგისტრატურა

ზეპირი გამოკითხვის არსებობის შემთხვევაში მასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების გზად ჯგუფების დაყოფისა და სიის მიხედვით გამოკითხვის პრაქტიკა სახელდება.

„ჯგუფები დაიყოს (მაგ, 20 კაციანი ჯგუფია, 10 კაცი ერთი 40 წუთის განმავლობაში შევიდეს, ან, თუნდაც, 1 საათის განმავლობაში, ხოლო, მეორე 10 კაცი შემდეგ 1 საათსა თუ 40 წუთში გამოიკითხოს)“ იურიდიული ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„რაც შეეხება სემინარებზე აქტიურობის შეფასებას, ეს ოდნავ რთული საკითხია. ხანდახან ინტერნეტი ჭედავს და როდესაც ლექტორი მთელ ჯგუფს კითხვას უსვამს, ჩემი ხმა ლექტორს ოდნავ მოგვიანებით მიეწვდინება. ამის გამო შეიძლება მას ეგონოს, რომ მე არ ვიცი ეს საკითხი ან არ მსურს აქტიურობა. არადა, ეს ასე არ არის. უკეთესი იქნება, თუ ლექტორი სიის მიხედვით დაუსვამს ბავშვებს შეკითხვას, რათა ყველამ შეძლოს აქტიურობა.“ *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი*

საშინაო დავალებები

ყველა ფაკულტეტის შემთხვევაში სტუდენტთა ნაწილი ზეპირი გამოკითხვის საშინაო დავალებებით ჩანაცვლებას უჭერს მხარს.

„სწავლების ტექნიკური მხარე, სტუდენტთა რაოდენობა ონლაინ სემინარის დროს, ხმაური, ერთმანეთის გადაფარვა და სხვა პრობლემები შეუძლებელს ხდის ყველა მსურველ სტუდენტთა აქტიურობას და შეფასებას. მხარს ვუჭერ წერითი დავალებების საფუძველზე მუშაობას.“ იურიდიული ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„ვფიქრობ ონლაინ რეჟიმში მასალის მოყოლას სჯობს წერილობით გადაგზავნა, რადგან ხშირია ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემები, მაგალითად, ხმა ზოგჯერ წყვეტილად

ისმის, ან მიკროფონის ჩართვის გამო ისმის ზედმეტი ხმა, რომელიც ხელს უშლის ლექტორის მოსმენას სრულყოფილად“ *ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი*
„ჩემი აზრით აქტივობის შეფასება უნდა ხდებოდეს მხოლოდ e-learning-ზე გაგზავნილი დავალებებით, რადგან რთულია სემინარების ონლაინ ჩაბარება. არსებობს სტუდენტები რომლებსაც არ აქვს zoom-ზე ჩართვის საშუალება.“ *ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი*

სტუდენტები საშინაო დავალებებთან დაკავშირებულ პრობლემებსაც გამოკვეთენენ, როგორიცაა დავალებებზე დაგვიანებულად მიღებული უკუკავშირი, დავალების ერთჯერადობა და დედლაინების ხანგრძლივობის მონაცვლეობა .

ლექტორები საუკუნე უნდებიან მარტივი დავალებების შემოწმებასაც კი და ეს ცოტა შემაწუხებელია. ადამიანს გჭირდება იცოდე როგორ შეგაფასეს, რათა შემდეგ დავალებაზე უკეთ ფოკუსირდე და არ ფიქრობდე ორი კვირის განმავლობაში ნეტა იქ რა მივიღეო. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„სასემინარო 30 ქულა არ დაიწეროს ერთჯერად დავალებაში, არამედ იყოს ყოველკვირეული, რათა არ მოვდუნდეთ და ბოლოსთვის არ მოვიტოვოთ სასწავლი მასალა“ იურიდიული ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„გაუგებარია დავალებების დედლაინები, ერთსა და იმავე საგანში პირველ დავალებაზე შესასრულებელი დრო ბევრად უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მეორეზე. ეს ყველაფერი დაბნეულობას იწვევს.“ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი

სტუდენტები ზეპირი გამოკითხვის არა მარტო საშინაო დავალებებით, არამედ ონლაინ ქვიზებით ჩანაცვლების საუკეთესო პრაქტიკებსაც უსვამენ ხაზს.

„დავამატებდი მხოლოდ ონლაინ ქუიზებს. როგორიცაა kahoot. ერთი ლექტორი მიმართავს ამ პრინციპს. ვფიქრობ, ლექტორიც მარტივად ხვდება ვინ რა მოამზადა.“ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მაგისტრატურა

სტუდენტების დატვირთვა

სტუდენტის დატვირთვასა და შესრულებულ სამუშაოში მიღებული ქულის თანაზომიერებასთან დაკავშირებითაც გამოითქვა მოსაზრებები.

“კარგი იქნება, თუ ცოტა მეტი ქულა მიენიჭება სახლში მიცემულ დავალებებს.” იურიდიული ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„მისაღებია, თუმცა კარგი იქნებოდა, თუ მაგალითად, მიწევს 12 ორქულიანი სემინარის ჩაბარება, რათა გამოვიმუშაოთ 24 ქულა, იყოფოდეს მაგალითად, 8 სამქულიან ჩაბარებად.“ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი

„ზოგ საგანში დავალებები გაცილებით ნაკლებჭულიანია და ვისურვებდი ჩემი დავალება 1 ქულით არ შეფასდეს, სადაც სხვა საგნებში 6 ქულა მეწერება ერთ დავალებაში. ვცდილობ ყველა საგანს თანაბრად მივხედო, ეფექტურად და მაღალხარისხიანად დავამუშავო და ვწერო დავალებები, რომლებიც საკმაოდ არათანაბრად მიფასდება.“ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„6 ქვიზი დაახლოებით 10 კვირაში ძალიან ბევრია და სწავლას შეუშლის ხელს.“ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი

კონკრეტულ კურსებთან დაკავშირებული სპეციფიკური სირთულეები

სტუდენტების ნაწილი ყურადღებას ამახვილებს კონკრეტული კურსების სწავლებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ სირთულეებზე. ბუნებრივია, რომ ყველაზე მეტი სიხშირით აღნიშნულ პრობლემაზე მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები საუბრობენ.

„მედიცინის ფაკულტეტისთვის, სადაც პრიორიტეტულია პაციენტთან ურთიერთობა და მისი შეფასება საერთოდ არ არის. მხოლოდ და მხოლოდ რეფერატებით აქტივობის ქულის დაწერა ნაკლებად მისაღებია“. მედიცინის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„მაგალითს მოგიყვანთ- ანატომიის ლექციაზე სტუდენტს უნივერსიტეტში ძვლებთან უშუალო კონტაქტი აქვს და მასალას ითვისებს შეგნებულად, ონლაინ სწავლების დროს კი მას წარმოსახვა უწევს... ასევე ონლაინ ვერ სრულდება პრაქტიკული სამუშაოები და ა.შ“. მედიცინის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„რთულია ელექტრონულად ისწავლო ისეთი საგნები როგორიცაა მათემატიკა, ეკონომეტრიკა და სხვა. ფინალურზე კი ითხოვთ რომ სტუდენტმა 35 ქულა აიღოს რომ გადალახოს ბარიერი, როცა ნორმალურად ვერც ვიგებთ“. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი

ზოგიერთი სტუდენტი პრობლემის დაძლევის მათეულ ხედვასაც გვთავაზობს:

„ვფიქრობ, უნდა გავიაროთ ის საგნები, რომელსაც გავდივართ ტექნოლოგიის დახმარებით, ვგულისხმობ, ტექნიკურ საგნებს კომპიუტერულ მეცნიერებაში, ხოლო მათემატიკური საგნები უნდა გადაიდოს, რადგან ძალიან რთულია ათვისება ზუმის საშუალებით“ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„ხატვის ლექციებში სასურველია ლექტორმა მოგვაწოდოს ვიდეომასალა, სადაც რჩევებს მოგვცემს და თვითონ შექმნის კომპოზიციას.“ *ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი*

ნიშანდობლივია, რომ გარდა სირთულეებზე საუბრისა ყველა ფაკულტეტის სტუდენტებში, როგორც ბაკალავრიატის, ისე სამაგისტრო საფეხურზე, ვხვდებით **დადებით შეფასებებსაც,** რომლებშიც სტუდენტები თავიანთი კმაყოფილების მიზეზებს მკაფიოდ გამოკვეთენენ.

„ვფიქრობ, სემინარებზე იმის გარჩევა და განხილვა, რაც ჩვენთვის პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, უფრო პროდუქტიული და პრაქტიკულია, ვიდრე რამის დაზეპირება მხოლოდ იმის გამო რომ 3 ქულა მივიღოთ..რამდენიმე საგანში მაქვს უკვე მსგავსი მუშაობები და ძალიან კმაყოფილი ვარ, უფრო ნაყოფიერი გამოდის ჩვენი მუშობა, როცა ყველა დეტალს განვიხილავთ, კაზუსებს ვხსნით, ერთმანეთს ვუსმენთ, ვეთანხმებით ან არ ვეთანხმებით ერთმანეთს და ა.შ იურიდიული ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„ძალიან მომწონს ის, რომ დავალებების სახით შეგვიძლია აქტივობების ქულების დაგროვება, ვფიქრობ, ეს ბევრად უფრო ეფექტურიც კია ვიდრე ონლაინ სემინარების ჩატარება“ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„ვფიქრობ, არსებულ სიტუაციაში ჩვენი უნივერსიტეტის და ლექტორების მიერ განხორციელებული დისტანციური სწავლება საუკეთესოსთან ახლოს არის“ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„ლექტორებმა მოახდინეს შეფასების სისტემის სრული ადაპტირება დისტანციურ სწავლებასთან.“ იურიდიული ფაკულტეტი, მაგისტრატურა
„ვფიქრობ, პორტფოლიოს მოდელის გამოყენება ეფექტიანი იქნება. ზოგიერთი ლექტორი ამ პროცესს საკმაოდ კარგად უძღვება და ანალიტიკურ დავალებებს გვიგზავნის, რაც ცოდნის გამყარებაში გვეხმარება.“ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, მაგისტრატურა
„ზუმ-ში ლექციების მოსმენა იმაზე უფრო ეფექტური მეჩვენება ვიდრე აუდიტორიაში ყოფნა, უფრო მეტ კომფორტს ვგრძნობ, უშუალოდ ლექტორებზე ვარ კონცენტრირებული და სხვა მხრივ ყურადღება არ მეფანტება.“ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი
„დასაფასებელია ყველა ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალის გარჯა და მცდელობა, ამ პრობლემებს ერთად უნდა გავუმკლავდეთ.“ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი

სტუდენტების ნაწილი მიმდინარე მოვლენების **გრძელვადიან დადებით შედეგებსაც** უსვამს ხაზს და პანდემიის შემდეგ დისტანციური სწავლების კომპონენტების შენარჩუნების მნიშვნელობაზეც საუბრობს.

„ჩემთვის მისაღებია წერითი დავალებები, კაზუსების ან/და პრეზენტაციების სახით. ამ გამოცდილებით იქნებ დაძლიონ სემინარისტებმა ერთფეროვანი ხელის აწევით საბჭოური და პირველკლასური გამოკითხვის მეთოდები და შემდეგშიც გაამრავალფეროვნონ სწავლების პროცესი.“ *იურიდიული ფაკულტეტი, ბაკალავრიატი*
„არაფერს შევცვლიდი, მეტიც, კომბინირებულად გავაგრძელებდი დანარჩენ წლებში - ონლაინ და ძველებურ, ტრადიციულ სემინარებით.“ *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი*

„სიტუაციიდან გამომდინარე მისაღებია ასეთი სწავლება. აგრეთვე ვფიქრობ, რომ იმ სტუდენტებისთვის ყოველთვის მისაწვდომი უნდა იყოს ასეთი ფორმით სწავლება, რომლებიც მუშაობენ და ლექციებზე დასწრებას აუდიტორიაში ვერ ახერხებენ.“

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი